სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

73793941028216

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160378213

რეგისტრაციის თარიღი

14.04.2016 წ

ნოტარიუსი: ჯულიეტა არჩვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ლესელიძის ქ.#4
ტელეფონი: 99-73-85

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თექვსმეტი წლის თოთხმეტ აპრილს, მე, ნოტარიუს ჯულიეტა არჩვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ლესელიძის ქ.4-ში,
მომმართა **ნონა მაჭარაშვილმა** მან განაცხადა, რომ არის შ.პ.ს. „ელზურო“-ს დირექტორი და სურს სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დარწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ნონა მაჭარაშვილმა** (დაბადებული 04.02.1968წ. სოხუმი, პირადი №62001009105, მისი განცადებით მცხოვრები მისამართზე: თბილისი, თარხნიშვილის I-ჩიხი, №4, ბინა 23) მომმართა.
მე შევამოწმე **ნონა მაჭარაშვილის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. „ელზურო“ თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდენტიფიკაციო კოდი 402004353; რეგისტრაციის თარიღი 08/10/2014, იურიდიული მისამართი: თბილისი, ქურდიანის ქ.11, ბინა 1.
მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე წავუკითხე მინდობილობა, მან წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის თოთხმეტ აპრილს, **ნონა მაჭარაშვილმა,** როგორც შ.პ.ს. „ელზურო“-ს დირექტორმა, წინამდებარე მინდობილობით **დალი ბენაშვილს** (დაბადებული 04.06.1965წ. თბილისში, პირადი №01034005571), როგორც შპს „ეიჩ დი ჰაუს დეველოპმენტი“-ს, კოდი 404486515, დირექტორს, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

წარმომადგინოს შპს „ელზურო“-ს ინტერესები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულ სსიპ-ში: არქიტექტურისა და ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურებში აწარმოოს შპს „ელზურო“-ს საკუთრებაში არსებული უძრავ ნივთზე, მდებარე ქ.თბილისი, ქუჩა გორგასალი, №63, საკადასტრო კოდი №01.18.06.005.056, სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო პროექტის დამტკიცება, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და ასევე შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან **გაყიდვის, იპოთეკით დატვირთვის უფლების გარეშე.**

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ჯულიეტა არჩვაძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი ეგზემპლიარი გადაეცა **ნონა მაჭარაშვილს.**
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა 10-00 ლარი. აგრეთვე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ.) 39-ე მუხლის I პუნქტისა. სულ გადახდილია 12-00 ლარი.

ნოტარიუსი ჯულიეტა არჩვაძე